საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №263

22 ოქტომბერი 2013 თბილისი, საქართველო

2013 18 ოქტომბერს 17:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი საბჭოს წევრები: ემზარ გოგუაძე, ნატალია დვალი, დავით კანდელაკი, მამუკა ფაჩუაშვილი. სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი მელაძე, ნინო დანელია და ზურაბ დავითაშვილი, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის თ ანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. **სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013 წლის მესამე კვარტლის ანგარიშის განხილვა.**

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე უძღვებოდა, მიმდინარე სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მოწვეულნი იყვნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში კახა სონიშვილი, რომელიც მიმდინარე სხდომას ესწრებოდა, ხოლო თამაზ ტყემალაძემ სატელეფონო საუბრისას ემზარ გოგუაძეს განუმარტა მისი სხდომაზე არ დასწრების მიზეზი, რომ ის იმყოფებოდა შეხვედრაზე და ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილ 2013 წლის მესამე კვარტლის ანგარიშთან დაკავშირებით, რამოდენიმე საკითხზე ისაუბრა მათ შორის პროგრამულ და ტექნიკურ ნაწილზე, მან აღნიშნა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისგან უნდა მოისმინონ, ფინანსურ ნაწილში დირექტორის მოადგილე ვალდებული არ არის ისაუბროს იმ საკითხებზე, რომელიც მის კოპეტენციაში არ შედის. რაც შეეხება წარმოდგენილი ანგარიშის ფინანსურ ნაწილს, ის მოიცავს მონიტორინგს და არა ანგარიშს, კერძოდ, მოხდენილია შედარება 2013 წლის 9 თვის მონაცემების 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან, საბჭოს წევრებმა კახა სონიშვილს დამატებით მოსთხოვეს წარმოადგინოს მესამე კვარტალის მაუწყებლის ბიუჯეტი კანონით დადგენილი ფორმით, ასევე მისი ხარჯვა და არსებული ნაშთები, რაზეც კახა სონიშვილმა ითხოვა დრო, რათა მიმდინარე სხდომაზე წარმოედგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა, მხოლოდ 2013 წლის მესამე კვარტლის ხარჯვით ნაწილს, რომელიც მისივე ინფორამაციით კვარტლების მიხედვით ატვირთულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდონარე საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, დაევალოს მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს მაია ბუზალაძეს, რომელიც მიმდინარე სხდომას ესწრებოდა, აუდიტის დასკვნის მომზადება 2013 წლის 1 ინავრიდან 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მხრიდან ფინანსურ ნაწილში გენერალური დირექტორის მოადგილეს სხდომაზევე ეთხოვა, მიაწოდოს მაუწყებლის შიდა აუდიტის უფროსს ყველა ის დოკუმენტი, რაც საჭირო ფინანსური აუდიტის დასკვნის მოსამზადებლად. ასევე დავალა საბჭოს აპრატის ხელმძღვანელს მომზადოს სამსახურებრივი ბარათი გენერალური დირექტორის

მოავალეობის შემსრულებლის სახელზე, რათა უმკლეს ვადებში მიაწოდონ მაია ბუზალაძეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია აუდტის ჩასატარებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად 17:30 საათზე გამოაცხადა, შემდეგი სხდომის დრო, თარიღი და დღის წესრიგი, საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე		ემზარ გოგუაძე
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი